SMART business

Microsoft Dynamics 365 Business Central

SMART LOCALIZATION

Release Note v. 2026.01

SMART Apps

Published

კონფიდენციალურობის შეტყობინება: ეს დოკუმენტი კონფიდენციალურია და შეიცავს კომერციულ საიდუმლო ინფორმაციას, ამავდროულად წარმოადგენს SMART business-ის ინტელექტუალურ საკუთრებას. არც ეს დოკუმენტი და არც აქ მოცემული ინფორმაცია არ შეიძლება იყოს რეპროდუცირებული ან გამჟღავნებული SMART business-ის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ამ დოკუმენტისა და აქ მოცემული ინფორმაციის გამჟღავნება, კოპირება, გავრცელება ან გამოყენება სასტიკად აკრძალულია.

Contents

1. შესავალი 2
2. SMART Batch Fixed Asset Accounting -ის განახლებები 3
3. SMART IFRS16 Leasing -ის განახლებები 4
4. SMART Cash Flow -ის განახლებები 5
5. SMART Payroll Connector for HiBob -ის განახლებები 6
6. SMART WHT for Georgia-ის განახლებები 10
7. SMART FX Rates 10
8. სისტემის განახლების პროცედურა 12
9. SMART Localization-ის განახლების წესები და პირობები 12

1. შესავალი

დოკუმენტში მოცემულია SMART Localization-ის გადაწყვეტილების ფუნქციონალის გაუმჯობესებები და ცვლილებები, რომლებიც მოცემულია 2026.01 რეგულარულ განახლებაში. განახლება მოიცავს ფუნქციონალის ცვლილებებს 10/01/25-დან 12/31/25-მდე.

პასუხისმგებლობის შეზღუდვა

ამ დოკუმენტის შინაარსი მხოლოდ საინფორმაციოა და წარმოადგენს აღნიშნულ თემაზე SMART business LLC-ის ამჟამინდელ ხედვას გამოქვეყნების თარიღისთვის. ეს დოკუმენტი და მისი შინაარსი არ წარმოადგენს, და არც უნდა იქნას განმარტებული, როგორც SMART business LLC-ის მხრიდან არსებული ვალდებულება. SMART business LLC არ იძლევა გარანტიას მოცემულ დოკუმენტში მოყვანილი ნებისმიერი ინფორმაციის სიზუსტეზე.

შეტყობინება საავტორო უფლების შესახებ

საავტორო უფლებებთან დაკავშირებულ მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დაცვა მომხმარებლის პასუხისმგებლობაა. ამ დოკუმენტის შინაარსი SMART business LLC-ის ინტელექტუალურ საკუთრებას წარმოადგენს. შპს SMART business-ის, როგორც საავტორო უფლებების მფლობელის, უფლებების შეზღუდვის გარეშე, დაუშვებელია ამ დოკუმენტის ნებისმიერი ნაწილის რეპროდუცირება, შენახვა ან მოძიების სისტემაში შესვლა, ან რაიმე ფორმით ან ნებისმიერი მიზნით გადაცემა (ელექტრონული, მექანიკური, ფოტოკოპირება, ჩაწერა, ან სხვაგვარად), ან რაიმე მიზნით მისი გამოყენება ნებისმიერ სხვა ნაშრომში ან პუბლიკაციაში, შპს SMART business-ის ოფიციალური წერილობითი ნებართვის გარეშე. ამ დოკუმენტის კოპირება მხოლოდ პირადი გამოყენებისთვის შეგიძლიათ.

SMART business LLC შეიძლება ჰქონდეს პატენტები, პატენტის განაცხადები, სავაჭრო ნიშნები, საავტორო უფლებები ან სხვა ინტელექტუალური საკუთრების უფლებები, რომლებიც მოიცავს ამ დოკუმენტის საგანს. გარდა იმ შემთხვევებისა, რაც პირდაპირ არის გათვალისწინებული SMART business LLC-ის რომელიმე ცალკეულ წერილობით სალიცენზიო ხელშეკრულებაში, ამ დოკუმენტის მიწოდება არ გაძლევთ რაიმე ლიცენზიას ამ პატენტებზე, სავაჭრო ნიშნებზე, საავტორო უფლებებზე ან სხვა ინტელექტუალურ საკუთრებაზე

© 2022 SMART business. ყველა უფლება დაცულია. აქ ნახსენები კომპანიის და პროდუქტის რეალური სახელები შეიძლება იყოს მათი შესაბამისი მფლობელების სავაჭრო ნიშნები.

2. SMART Batch Fixed Asset Accounting -ის განახლებები

განახლება მოიცავს შემდეგ გაუმჯობესებებს, ახალ ფუნქციურ შესაძლებლობებს და გასწორებულ შეცდომებს:

ქვეყნის კოდი	ID	კონტენტი	ფუნქციონალური სივრცე	ცვლილების ტიპი
CORE	#91181	გასწორებულია შეცდომა, რომელიც წარმოიქმნებოდა დაპოსტვის წინასწარ გადახედაზე მცირე ღირებულების ძირითადი საშუალებების (child) შექმნისას	SMART Batch FA	შეცდომის გასწორება
CORE	#95828	დაემატა ახალი შესაძლებლობა მცირე ფასიანი ძირითადი საშუალებებისთვის: ძირითადი საშუალების ექსპლუატაციაში შესვლის დოკუმენტის (რელიზ აქტის) გატარებების გაუქმება "ძირითადი საშუალების საბუღალტრო წიგნის" ცხრილიდან.	SMART Batch FA	ახალი ფუნქცია

3. SMART IFRS16 Leasing -ის განახლებები

განახლება მოიცავს შემდეგ გაუმჯობესებებს, ახალ ფუნქციურ შესაძლებლობებს და გასწორებულ შეცდომებს:

ქვეყნის კოდი	ID	კონტენტი	ფუნქციონალური სივრცე	ცვლილების ტიპი
CORE	#89073	დაემატა ფუნქციონალი ძირითადი საშუალების ბარათზე ამორტიზაციის დასრულების თარიღის განახლებისთვის იმ შემთხვევებში, როდესაც იჯარის დასრულების თარიღი იცვლება.	SMART IFRS16 Leasing	ახალი ფუნქცია
CORE	#89988	არასრული საიჯარო თვის შემთხვევაში გასწორდა ნაწილობრივი გადახდების ფორმირების პრობლემა. ახლა, იჯარის გადახდების ბოლო თვე ფორმირდება მოსალოდნელი იჯარის ვადის (წილადი ნაწილის) მიხედვით.	SMART IFRS16 Leasing	შეცდომის გასწორება
CORE	#92084	გასწორდა გამოყენების უფლებების კალკულაცია იმ პერიოდისთვის, რომლის განმავლობაში იჯარის პირობებში ცვლილებები არ განხორციელებულა. ამ შემთხვევაში ჟურნალის სტრიქონები აღარ შეიქმნება. განახლებამდე ფინანსური ჟურნალის სტრიქონები გენერირდებოდა ნულოვანი თანხით.	SMART IFRS16 Leasing	შეცდომის გასწორება
CORE	#92674	შეიცვალა იჯარით აღებული აქტივის საბალანსო ღირებულების გაანგარიშება იჯარის პირობების ცვლილებისას, რათა სწორად აისახოს გრძელვადიანი ვალდებულებები. ახლა გაანგარიშება ხდება, როგორც: მიმდინარე პერიოდის დასაწყისის ვალდებულებების ბალანსის მნიშვნელობების - წინა დახურული პერიოდის ბოლოს ვალდებულებების ბალანსი.	SMART IFRS16 Leasing	შეცდომის გასწორება

4. SMART Cash Flow -ის განახლებები

განახლება მოიცავს შემდეგ გაუმჯობესებებს, ახალ ფუნქციურ შესაძლებლობებს და გასწორებულ შეცდომებს:

ქვეყნის კოდი	ID	კონტენტი	ფუნქციონალური სივრცე	ცვლილების ტიპი
CORE	#90891	გამოსწორდა პრობლემა, რომლის შედეგადაც „სამუშაო გვერდის სტრიქონების შეთავაზება" ფუნქციის გამოყენებისას ფულადი ნაკადების თარიღი არ ახლდებოდა. ანალოგიური ხარვეზი გამოსწორდა შესყიდვისა და გაყიდვის ორდერების ტიპის ჩანაწერებისთვის, როდესაც ივსებოდა ველი- „ფულადი ნაკადის თარიღის გადაწერა".	SMART CashFlow	შეცდომის გასწორება
CORE	#89403	გაფართოვდა გრაფიკების გენერირებისა და კონტრაქტით გათვალისწინებული გადასახდელების/მისაღები დავალიანების გეგმის ფუნქციონალი ნაწილობრივი გადახიდვებისა და მიღების შეკვეთებისთვის.	SMART CashFlow	ახალი ფუნქცია
CORE	#90469	ფულადი ნაკადების პროგნოზის ბარათს დაემატა „მხოლოდ დარელიზებული დოკუმენტების" ღილაკი. ჩართვის შემთხვევაში, ის სისტემას საშუალებას აძლევს, შექმნას ფულადი ნაკადების სამუშაო ფურცლის სტრიქონები „დარელიზებული" ან „წინასწარი გადახდის მოლოდინში" სტატუსის მქონე დაუპოსტავი შესყიდვის/გაყიდვის დოკუმენტების საფუძველზე, იმ პირობით, რომ გადახდის გეგმა არ არის შევსებული ხელშეკრულების ბარათზე ან ვენდორის/მყიდველის ბარათზე. თუ გადამრთველი გამორთულია, სისტემა აგენერირებს და ქმნის ჟურნალში სტრიქონებს ყველა სტატუსის მქონე დოკუმენტებისთვის.	SMART CashFlow	ახალი ფუნქცია
CORE	#90892	ფულადი ნაკადების საბუღალტრო ჩანაწერების რეესტრში დაემატა ახალი „ხელით გაყოფის" ღილაკი. იმ ჩანაწერებისთვის, სადაც ეს არის დაყენებული „დიახ"-ზე, მონაცემთა განახლებები დაბლოკილია.	SMART CashFlow	ახალი ფუნქცია

5. SMART Payroll Connector for HiBob -ის განახლებები

განახლება მოიცავს შემდეგ გაუმჯობესებებს, ახალ ფუნქციურ შესაძლებლობებს და გასწორებულ შეცდომებს:

Country code	ID	Content	Functional area	Type of change
CORE	#90824	SMART Payroll HRIS Integration Core აპლიკაციისთვის შეიქმნა ახალი ფუნქციონალი და გაფართოვდა არსებული, კერძოდ: • პირადი ინფორმაცია: HRIS თანამშრომლის ბარათს დაემატა ახალი ველები ზოგადი განყოფილების ქვეშ: ოჯახური სტატუსის ტიპი, მშობლიური ენა, მოქალაქეობა ქვეყნის/რეგიონის კოდი • ფიზ. პირის დოკუმენტების შესახებ ინფორმაცია: HRIS თანამშრომლის ბარათს დაემატა ახალი ველები დოკუმენტის განყოფილებაში: პირის დოკუმენტის ტიპი, დოკუმენტის მოქმედების ვადა • მისამართის შესახებ ინფორმაცია: HRIS თანამშრომლის ბარათს დაემატა ახალი ველები მისამართის განყოფილებაში: რეგიონი, ადმინისტრაციული კატეგორია, ქუჩა, სახლი, შენობა, ბინა • ნათესაური კავშირის შესახებ ინფორმაცია: შეიქმნა ახალი ბლოკი „თანამშრომლის ნათესავები“, რომელიც საშუალებას იძლევა გარე სისტემიდან მოხდეს ინფორმაციის ინტეგრირება. გარდა ამისა, შეიქმნა ახალი პროცესი სტანდარტული ფიზ. პირის ნათესავების საცნობარო ცხრილში მონაცემების შესაქმნელად და განახლებისთვის. • ფაქტიური მისამართის შესახებ ინფორმაცია: HRIS თანამშრომლის ბარათს დაემატა	SMART Payroll Connector for HiBob	ახალი ფუნქცია

		ახალი ბლოკი „ფაქტიური მისამართი“, რომელიც საშუალებას იძლევა გარე სისტემიდან მოხდეს თანამშრომლის მუდმივი მისამართის შესახებ მონაცემების ინტეგრირება. ასევე შეიქმნა ახალი პროცესი ფიზ. პირის მუდმივი მისამართის მონაცემების შესაქმნელად და განახლებისთვის. • ინვალიდობის შესახებ ინფორმაცია: HRIS თანამშრომლის ბარათს დაემატა ახალი ინვალიდობის ბლოკი, რომელიც გარე სისტემიდან ინვალიდობის შესახებ ინფორმაციის ინტეგრირების საშუალებას იძლევა. შეიქმნა ახალი პროცესი ფიზ. პირის სამედიცინო ინფორმაციის ჩანაწერებში ინვალიდობის შესახებ მონაცემების შესაქმნელად და განახლებისთვის. თანამშრომლის დაქირავების შემდეგ ინვალიდობის შემთხვევაში, თანამშრომელი გადადის თანამდებობაზე, რომელსაც აქვს ინვალიდობის ინდიკატორი. • დასაქმების შესახებ ინფორმაცია: HRIS თანამშრომლის ბარათს სამუშაო განყოფილებაში დაემატა ახალი ველები: მენეჯერის კოდი, გამოსაცდელი პერიოდის დასრულება, გამოსაცდელი პერიოდის ფორმულა. • ხელახლა დასაქმება: HRIS თანამშრომლის ბარათს სამუშაო განყოფილებაში დაემატა ახალი ველი „ხელახლა დასაქმება“, რომელიც უნდა შეივსოს, თუ ადრე გათავისუფლებული თანამშრომელი ხელახლა		

		დასაქმდება კომპანიაში. ასევე შეიქმნა შესაბამისი პროცესი ადრე გათავისუფლებული თანამშრომლების ხელახლა სამუშაოზე აყვანისთვის.		

6. SMART WHT for Georgia-ის განახლებები

განახლება მოიცავს შემდეგ გაუმჯობესებებს, ახალ ფუნქციურ შესაძლებლობებს და გასწორებულ შეცდომებს:

ქვეყნის კოდი	ID	კონტენტი	ფუნქციონალური სივრცე	ცვლილების ტიპი
GE	#55791	გაუმჯობესდა არალოკალურ ვალუტაში შექმნილი WHT ჩანაწერების განხილვა და უზრუნველყოფს უფრო ზუსტ ინფორმაციას.	SMART WHT for Georgia	ახალი ფუნქცია
GE	#76676	ერთიანი გადახდის რამოდენიმე ინვოისზე დაკავშირების შემთხვევაში, საშემოსავლო ახლა ითვლება და ისახება თითოეული ინვოისის მიხედვით დაკავშირებული თანხის (Apply amount) საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს საშემოსავლოს, მთავარი საბუღალტრო ჩანაწერის და მომწოდებლის საბუღალტრო ჩანაწერის სწორ გაანგარიშებას.	SMART WHT for Georgia	ახალი ფუნქცია
GE	#90858	საშემოსავლოს და საპენსიოს გადაფასება ახლა ითვლება თითოეული ინვოისის მიხედვით, გამოიყენება შესაბამისი ინვოისის ვალუტის კურსი, რაც უზრუნველყოფს სწორ ჩანაწერებს რამდენიმე ინვოისზე ერთიანი გადახდის გამოყენების დროს.	SMART WHT for Georgia	შეცდომის გასწორება
GE	#91046	გამოსწორდა პრობლემა, როდესაც ავტომატურად დაკავშირებული საბანკო გადახდების გაუქმების (Unapply) დროს WHT Original Amount და Original Base აჩვენებდა ინვოისის სრულ თანხას, ნაცვლად შესაბამისი ნაწილობრივი გადახდის თანხისა.	SMART WHT for Georgia	შეცდომის გასწორება

7. SMART FX Rates

განახლება მოიცავს შემდეგ გაუმჯობესებებს, ახალ ფუნქციურ შესაძლებლობებს და გასწორებულ შეცდომებს:

ქვეყნის კოდი	ID	კონტენტი	ფუნქციონალური სივრცე	ცვლილების ტიპი
CORE	#89418	გამოქვეყნდა ახალი გადაწყვეტა — SMART FX Rates, რომელიც ავტომატიზაციას უწევს ვალუტის კურსების განახლებას Business Central-ში, ამცირებს ფინანსური გუნდების ხელით სამუშაოს და უზრუნველყოფს ფინანსური მონაცემების თანმიმდევრულობას მრავალვალუტიან გარემოში. SMART FX Rates უზრუნველყოფს გარე მონაცემთა მომწოდებლებთან შეუფერხებელ ინტეგრაციას და მხარს უჭერს კურსების იმპორტს პირდაპირ ღია API-ების მქონე წყაროებიდან — მათ შორის ევროპის ცენტრალური ბანკიდან (ECB), OANDA-დან და სხვა თავსებადი პროვაიდერებიდან. ამ გადაწყვეტის საშუალებით კომპანიას მთელი სისტემის მასშტაბით აქვს თანმიმდევრული და განახლებული ვალუტის მონაცემები ხელით ჩარევის საჭიროების გარეშე.	SMART FX Rates	ახალი ფუნქცია

8. სისტემის განახლების პროცედურა

სისტემის განახლება ორი ეტაპისგან შედგება:

- კოდის განახლება
- მონაცემთა განახლება

კოდის განახლება ეხება ობიექტების ცვლილებების მიგრაციას გამოშვებიდან მომხმარებელთა ბაზამდე, რომელიც შესრულებულია ორი ვერსიის ტექსტური შერწყმის გზით.

მონაცემთა განახლება გულისხმობს არსებული მონაცემების შეცვლას იმ შემთხვევაში, როდესაც ახალი გამოშვება ცვლის მონაცემთა სქემას, ან ახალი პარამეტრების შემთხვევაში. არსებული მონაცემები ავტომატურად იცვლება კოდის განახლების დროს მონაცემთა განახლების პროცედურის დაწყების მომენტში. ახალი მოდულების დაყენება ხორციელდება ხელით.

9. SMART Localization-ის განახლების წესები და პირობები

1. SMART business (შემდგომში „კომპანია“) შეიმუშავებს და განაახლებს SMART Localization-ის გადაწყვეტილებას (შემდგომში „გადაწყვეტილება“) Microsoft Dynamics Partner Localization and Translation Licensing Program (PLLP) განსაზღვრული მოთხოვნებისა და შეზღუდვების შესაბამისად (PLLP).
2. ყოველი კვარტლის პირველ სამუშაო დღეს კომპანია აქვეყნებს გადაწყვეტილების განახლებებს. შემდგომში კომპანია იტოვებს უფლებას შეცვალოს განახლებების გამოშვების სიხშირე.
3. გადაწყვეტილების განახლებები უფასოდ მიეწოდება კომპანიის კლიენტებს, რომლებსაც გააქტიურებული აქვთ გამოწერა ყველა Microsoft Dynamics NAV და Microsoft Dynamics 365 Business Central პროდუქტის ვერსიებისთვის, რომლებიც Microsoft-ის ძირითადი მხარდაჭერის პერიოდის ეტაპზეა. პროგრამული პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის სანახავად, გადადით ბმულზე https://support.microsoft.com/en-us/lifecycle/search.
4. მომხმარებელთა სისტემა განახლებულია გრაფიკის წინასწარი კოორდინირებით, ასევე მომხმარებლის სისტემებზე განახლებების მიგრაციის სამუშაოების მოცულობით, მათ შორის პარამეტრების განახლებასა და სისტემის ტესტირებაზე და უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს შემდეგი განახლების გამოშვებისა. განახლების გამოშვების სავარაუდო გრაფიკი არის 3 თვეში ერთხელ. განახლება შეიძლება გადაიდოს 3 თვით წინასწარ ურთიერთშეთანხმების შემთხვევაში.
5. ასევე გათვალისწინებულია მომხმარებლის მიერ სისტემის დამოუკიდებლად განახლების შესაძლებლობა. ამ მიზნით, კომპანიამ უნდა უზრუნველყოს განახლებები, მათ შორის რეკომენდაციები პარამეტრებისა და სკრიპტების განახლების შესახებ მონაცემების განახლებისთვის. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სისტემის მომხმარებლის მოდიფიკაციები შეიძლება შეუთავსებელი იყოს მიღებული განახლების საწყის კოდთან და, შედეგად, სისტემის განახლება ან შესრულებული ცვლილებები უნდა დარეგულირდეს.
6. კომპანიამ უსასყიდლოდ უნდა გამოასწოროს აქტიური გამომწერების და რეგულარულ განახლებებში c.4.-ის შესაბამისად ჩართული მომხმარებლების გადაწყვეტილების შეცდომები
7. კომპანიამ უნდა წარმოადგინოს ყოველი განახლების ცვლილებების დეტალური აღწერა და გამოაქვეყნოს იგი არაუგვიანეს განახლების გამოშვების თარიღისა.
8. კანონმდებლობის დაუგეგმავი განახლებები ან შეცდომის დაუგეგმავი გასწორება მომხმარებელს მიეწოდება განახლებების გამოშვების სიხშირის მიუხედავად.
9. გადაწყვეტილების სრული განახლება ან მისი ცალკეული ფუნქციური შესაძლებლობების განახლება სისტემის იმგვარი „მოძველებული“ ვერსიისათვის, რომელიც არ შედის Microsoft-ის მხარდაჭერის საბაზო პერიოდში პ.პ.3-ის შესაბამისად, ანდა აქტიური ხელმოწერის არმქონე კლიენტებისთვის, კომპანიის მიერ ხორციელდება იმის გათვალისწინებით, რომ ამგვარი განახლება იქმნება

სპეციალურად ამგვარი კლიენტისთვის და, შესაბამისად, შეიძლება კლიენტს გადაეცეს სათანადო ანაზღაურების საფუძველზე.

10. წინამდებარე პირობებიდან ნებისმიერი გადახვევა დოკუმენტირებული უნდა იყოს ხელშეკრულების ფორმით; წინაალმდეგ შემთხვევაში, მოქმედებს ეს წესები და პირობები.